დისკუსია ვიდეო მასალაზე
გზამკვლევი აზია-წყნარი ოკეანის რეგიონის ქვეყნებისთვის

სადისკუსიო გზამკვლევი Amaze ანიმაციური ვიდეო რესურსის გამოყენებით

თანხმობა

სადისკუსიო გზამკვლევი თარგმნილია აზია-წყნარი ოკეანის რეგიონის რესურსიდან და

ადამპტირებულია ასოციაცია HERA XXI-ის მიერ

amaze

Advocates for Youth
Rights. Respect. Responsibility.

unesco

UNFPA

გზამკვლევის შესახებ

ვიდეომასალაზე დისკუსიის წინამდებარე გზამკვლევი ერთ-ერთია იმ ნაკრებიდან, რომელიც მოიცავს სხვადასხვა თემაზე შექმნილ ვიდეომასალაზე დისკუსიასთან დაკავშირებულ ექვს გზამკვლევს და რომლებიც განკუთვნილია თანატოლგანმანათლებლების მიერ წარმართული შეხვედრებისათვის, სექსუალური და რეპროდუქციული ჯანმრთელობის საკითხებზე მოზარდების განათლების მიზნით, აზია-წყნარი ოკეანის რეგიონში.

ნაკრებში შემავალი თითოეული გზამკვლევი მოიცავს „AMAZE“-ის საგანმანათლებლო ხასიათის ვიდეომასალას, რომელიც ეხება კონკრეტულ თემას, და რომლის ჩართვაც შესაძლებელია ახალგაზრდებისთვის სექსუალური და რეპროდუქციული ჯანმრთელობის შესახებ ინფორმაციის მიწოდების მიზნით შემუშავებულ გაკვეთილის გეგმებში ან მათი გამოყენება შესაძლებელია დამატებითი რესურსის სახით. თითოეული გზამკვლევი მოიცავს შესავალს, რომელშიც მოკლედ არის მიმოხილული ვიდეომასალის თემა, ვიდეომასალის ჩვენებასა და მის შემდგომ გამართულ დისკუსიასთან დაკავშირებულ რეკომენდაციებს, სადისკუსიო და თემის გააზრებისთვის (რეფლექსიისთვის) განკუთვნილ კითხვებსა და არჩევით აქტივობასა და/ან ტესტს

amaze

თანხმობა

ამოცანა:

ახალგაზრდების ინფორმირება თანხმობის საკითხებზე, მათ შორის სქესობრივი ურთიერთობების კონტექსტში, ასევე ოჯახის წევრებთან და მეგობრებთან ურთიერთობებისას, „AMAZE“-ის ამ თემაზე შექმნილი ვიდეოს გამოყენებითა და შესაბამისი დისკუსიისა და თემის გააზრების (რეფლექსიის) ხელშეწყობით.

ეტაპები:

1. თემის გაცნობა (5 წუთი)
2. „AMAZE“-ის ვიდეოს ჩვენება (4 წუთი)
3. დისკუსია და თემის გააზრება (რეფლექსია) (15 წუთი)
4. არჩევითი აქტივობა (10 წუთი)
5. შემაჯამებელი დასკვნები (5 წუთი)

შენიშვნა:

ეტაპების ხანგრძლივობა მითითებულია პირობითად.

სამიზნე აუდიტორია:

10 - 18 წლის მოზარდები

ხანგრძლივობა:

30 - 40 წუთი

დამატებითი მასალები:

- ვიდეოს ბმული: https://youtu.be/SEVnsGqFj1I?si=qvz3DJk4O-W0QgMA

  სომხურ ენაზე: https://youtu.be/2OnAxmTIv_c?si=CpSJ-hUKpSYCUiem

  აზერბაიჯანულ ენაზე:https://youtu.be/28F0cTaF8-c?si=ezMrOnD-D5ZIET_l

  მოზარდებთან პირისპირ მუშაობისას, დაგჭირდებათ:
  - ინტერნეტთან დაკავშირებული კომპიუტერი და ხმის გამაძლიერებელი
  - LCD პროექტორი და ეკრანი ან მაგიდა კომპიუტერისთვის
  - წებოვანი ფურცლები, ფლიფჩარტის დაფა დიდი ფორმატის ფურცლებით
  - ფერადი ფანქრები დისკუსიისა და თემის გააზრებისთვის (რეფლექსიისთვის)

  მოზარდებთან დისტანციურად მუშაობისთვის, დაგჭირდებათ:
  - წვდომა „Zoom“-სა ან „Google Meet“-ზე
  - „Google“-ის ინსტრუმენტი - „Jamboard“-ი დისკუსიისა და თემის გააზრებისთვის (რეფლექსიისთვის)

შესავალი

თანხმობა ეხება სიტუაციებს, როდესაც ადამიანები კონკრეტულ აქტივობაში ჩართვისა ან კონკრეტული ქცევის განხორციელებისთვის გამოხატავენ მზადყოფნას, სიტყვიერი თანხმობით, მაგალითად შემდეგი სიტყვებით „დიახ, ეს ჩემთვის მისაღებია“, ან არავერბალური ჟესტებით, როგორიცაა თავის დაქნევა, ჟესტების ენით ან წერილობით. თუმცა, მხოლოდ ის, რომ ადამიანი თანახმაა ჩაერთოს რაიმე სახის აქტივობაში, არ ნიშნავს იმას, რომ იგი თანახმაა სხვა აქტივობაში მონაწილეობაზე. ჩვენ გაქვს უფლება შეცვალოთ ჩვენი გადაწყვეტილება იმის შესახებ, რისი გაკეთება გვსურს ან არ გვსურს, ნებისმიერ დროს! ახლა, მოდით ვნახოთ „AMAZE“-ის ამ თემაზე შექმნილი ვიდეო, რათა მეტი შევიტყოთ თანხმობის შესახებ.

სადისკუსიო და თემის გააზრებისთვის (რეფლექსიისთვის) განკუთვნილი კითხვები:

ვიდეოს ჩვენების შემდეგ შეუდექით თემის განხილვას და მოსწავლეები დისკუსიაში ჩართეთ შემდეგი კითხვების გამოყენებით. დისკუსია წარმართეთ ხელმისაწვდომი დროის გათვალისწინებით და გამოყავით პრიორიტეტული კითხვები, რომელთა განხილვაც გსურთ.

1. რას ფიქრობთ ვიდეოზე? როგორი იყო თქვენი თავდაპირველი რეაქცია?
2. დაასახელეთ თანხმობის რამდენიმე მაგალითი, რომელიც ვიდეოში ფიგურირებდა.
3. რატომ არის თანხმობა მნიშვნელოვანი? რისი გაკეთება შეუძლია ადამიანს, სხვებისგან თანხმობის მისაღებად?
4. რა უნდა გააკეთოს ადამიანმა, თუ იგი ცვლის თავის გადაწყვეტილებას, იმ აქტივობაში მონაწილეობის დროს, რომელზეც მან თავდაპირველად თანხმობა განაცხადა?
5. რა ძირითად დასკვნებს გამოიტანდით ნანახი ვიდეომასალიდან და ვიდეომასალაში გამოკვეთილ თემაზე წარმოებული დისკუსიიდან?

შენიშვნა:

გამოხატეთ მადლიერება მონაწილეთა მიმართ, დისკუსიაში მათ მიერ შეტანილი წვლილისთვის, თუმცა, თუ მონაწილეთა შორის არიან პირები, რომლებსაც არ სურთ დისკუსიაში მონაწილეობის მიღება და საუბარი, ნუ აიძულებთ მათ გააკეთონ ის, რაც არ სურთ. შეგიძლიათ მოსწავლეებს სთხოვოთ წებოვანი ფურცლების ან „Google Jamboard“-ის გამოყენება, რაც მათ საკუთარი მოსაზრებების ანონიმურად გამოთქმის შესაძლებლობას მისცემს.

გაითვალისწინეთ!

- პატივი ეცით მონაწილეთა მოსაზრებებსა და შეხედულებებს
- იყავით აქტიური მსმენელი
- გამოიყენეთ ინკლუზიური და გენდერულად ნეიტრალური ტერმინები
- ყველას მიეცით საშუალება უპასუხონ კითხვებს და საკუთარი მოსაზრებები გაუზიარონ თანატოლებს
- გაახსენეთ მონაწილეებს, რომ აუცილებელია პატივი სცენს სხვებს და ყურადღებით მოუსმინონ მათ

შენიშვნა თანატოლგანმანათლებლებისთვის

• გახსოვდეთ, რომ დისკუსიაში მონაწილეობა ზოგიერთი მონაწილისთვის შეიძლება მატრამვირებელი აღმოჩნდეს, რადგან მათ შესაძლებელია ჰქონდეთ სექსუალური ძალადობის ან გაუპატიურების გამოცდილება. შეხვედრის დაგეგმვის პერიოდში დაუკავშირდით იმ ორგანიზაციას, რომელიც უზრუნველყოფს დისკუსიების ორგანიზებას და მოიპოვეთ ინფორმაცია სექსუალური ძალადობის ან შევიწროვების ფაქტების შესახებ შეტყობინებასთან დაკავშირებული ორგანიზაციაში მოქმედი პოლიტიკის შესახებ.

• შეხვედრის დაწყებამდე აცნობეთ მათ, რომ შეუძლიათ გაგესაუბრონ, შეხვედრის დასრულების შემდეგ, და მზად იყავით იმისთვის, რომ, საჭიროების შემთხვევაში, ურჩიოთ მათ ფსიქოლოგთან კონსულტაცია ან ჯანდაცვის მომსახურების მიღება.

• მზად იყავით იმ მონაწილეთა ქცევაზე რეაგირებისათვის, რომლებიც შეეცდებიან საკუთარ პირად გამოცდილებაზე საუბრის დაწყებას, დისკუსიის დროს, ან შეეცდებიან დაასახელონ სავარაუდო მოძალადე. ამისათვის საჭიროა მადლობა გადაუხადოთ მათ, დისკუსიაში შეტანილი წვლილისთვის და მიაწოდოთ ინფორმაცია იმის შესახებ, თუ ვის უნდა მიმართონ დახმარებისთვის, მათ შორის, როგორ უნდა მიმართონ უფროსი ასაკის სანდო პირს.

• ყურადღებითა და პასუხისმგებლობით მოეკიდეთ მონაწილეთა განსაკუთრებულ საჭიროებებს. ზოგიერთი მონაწილე შეიძლება საჭიროებდეს განსაკუთრებულ გარემოს, დისკუსიებსა ან აქტივობებში ჩართვისთვის. მაგალითად, შეგიძლიათ მოარგოთ ფიზიკური სივრცე გადაადგილების შეზღუდვის მქონე მონაწილეების საჭიროებებს, ან კორექტირება შეიტანოთ აქტივობაში, რათა მონაწილეებს ნაკლებად დასჭირდეთ გადაადგილება.

არჩევითი აქტივობა:

მოცემული აქტივობა საშუალებას აძლევს მონაწილეებს, ინტერაქტიული გზით, უკეთ გაიაზრონ ვიდეომასალიდან მიღებული ინფორმაცია.

აუხსენით მონაწილეებს, რომ ისინი ჩაერთვებიან ინსცენირებაში. სთხოვეთ მონაწილეებს მუშაობა გააგრძელონს წყვილებში და დაურიგეთ სამი სიტუაციიდან ერთი თითოეულ წყვილს ისე, რომ სიტუაციები მეტ-ნაკლებად თანაბრად გადანაწილდეს წყვილებზე.

სთხოვეთ მონაწილეებს შეადგინონ იმპროვიზებული დიალოგი, თითოეულ სიტუაციაზე. თუ აქტივობას დისტანციურად წარმართავთ, მოათავსეთ წყვილები სხვადასხვა „ოთახებში“ ინსცენირების მოსამზადებლად და დაურიგეთ მონაწილეთა წყვილებს თითო სიტუაცია.

სიტუაციების ადაპტირება შესაძლებელია მათში სხვადასხვა სექსუალური ორიენტაციის მქონე პერსონაჟების ჩართვითა და გენდერულად ნეიტრალური სახელების გამოყენებით.

ინსცენირების წარსადგენად თითოეულ ჯგუფს გამოუყავით ხუთი წუთი, შემდეგ წაიკითხეთ პირველი სიტუაცია და სთხოვეთ მოხალისეებს, რომლებმაც მონაწილეობა მიიღეს ინსცენირებაში, გაუზიარონ თანატოლებს საკუთარი შთაბეჭდილებები, მათ შორის, რას განიცდიდნენ თანხმობის მიცემისა ან მიღების დროს. გაიმეორეთ ეს პროცესი მეორე და მესამე სიტუაციის შემთხვევაში. დაბოლოს, სთხოვეთ მონაწილეებს, გაუზიარონ თანატოლებს ამ აქტივობის შედეგად გაკეთებული დასკვნები.

თანხმობის მოთხოვნის სამი ეტაპი

ქვევით მოცემულია სამი ძირითადი ეტაპი, რომლებიც დაგეხმარებათ თანხმობის მოთხოვნაში.

1. მიმართეთ მას თხოვნით (იმის შესახებ, რაზეც გსურთ დაითანხმოთ სხვა ადამიანი).
2. მოუსმინეთ მას (დაგთანხმდებათ იგი თუ არა და ასევე დააკვირდით მისი სხეულის ენას).
3. პატივი ეცით ადამიანის გადაწყვეტილებას, მიუხედავად იმისა, თანხმდება იგი თქვენს შეთავაზებას თუ არა.



ძირითადი დასკვნები:

დაასრულეთ შეხვედრა მონაწილეებისათვის ქვემოთ მოცემული ძირითადი შემაჯამებელი დასკვნების გაზიარებით:

თანხმობის მოპოვება და განცხადება მნიშვნელოვანია ერთმანეთის საზღვრების პატივისცემისა და ჯანსაღი ურთიერთობის დასამყარებლად. ჩვენ გვაქვს უფლება ნებისმიერ დროს შევცვალოთ საკუთარი გადაწყვეტილება იმის შესახებ, რისი გაკეთება გვსურს ან არ გვსურს. თუ თქვენ უარის თქმა გსურთ, ეს შეიძლება ნებისმიერ დროს განახორციელოთ. მაგალითად, თქვენ მიერ სექსუალური ურთიერთობის დასაწყისში განცხადებული თანხმობა არ ნიშნავს იმას, რომ თქვენ თანხმობას აცხადებთ მთელ პროცესზე და თქვენმა პარტნიორმა პატივი უნდა სცეს თქვენს გადაწყვეტილებას, რათა თქვენს შორის ჯანსაღი ურთიერთობა გამყარდეს.

ასევე უნდა გვახსოვდეს, რომ მხოლოდ იმიტომ, რომ ვინმე არ ამბობს "არას", არ ნიშნავს თანხმობას. თანხმობა უნდა იყოს განცხადებული ნებით. თუ ადამიანი რაიმე ქცევაზე თანხმობას აცხადებს იძულებით ან მუქარის ქვეშ, ეს არ ნიშნავს თანხმობას.

თანხმობის განცხადება არ შეუძლიათ პირებს, რომლებიც არიან არასრულწლოვანი, ან ქმედუუნარო, ვინაიდან იმყოფებიან ნარკოტიკების ან ალკოჰოლის ზემოქმედების ქვეშ, ან ძილის ან უგონო მდგომარეობაში. თუ პირი თანხმობას აცხადებს დაშინების ან მუქარის ქვეშ, ეს არ განიხილება როგორც თანხმობა, რადგან მისი გადაწყვეტილება არ ემყარება თავისუფალ ნებას. ადამიანი გარკვეულ ასაკში იღებს სამართლებრივად თანხმობის განცხადების უფლებას. ამ ასაკს ეწოდება "თანხმობის ასაკი" და სხვადასხვა ქვეყანაში თანხმობის ასაკთან დაკავშირებული სხვადასხვა კანონი მოქმედებს. გახსოვდეთ, რომ სექსუალური ძალადობის მსხვერპლი, არასოდეს არის დამნაშავე და მის მიმართ განხორციელებული ძალადობის შესახებ იგი უნდა გაესაუბროს უფროსი ასაკის სანდო პირს:

ავტორები:
დანიელ უაჰიუ
პრაიამბოდო,,
დორის კაუანგი და
ნაურა ჰარიანტო
ქართულ ენაზე
ადაპტირებულია ასოციაცია
HERA XXI-ის მიერ

Role Play Scenario Handouts

ამოჭერით სიტუაციები და დაამზადეთ მათი იმდენი ეგზემპლარი, რამდენი წყვილიც არის ჯგუფში

1. სესილი და ვაჩე შეყვარებულები არიან. ერთ საღამოს, ფილმის ერთად ყურებისას, სესილიმ თანხმობა განაცხადა ჩახუტებაზე. ვაჩემ მიიჩნია, რომ სესილი თანხმობას აცხადებდა კოცნაზეც. მაგრამ რამდენად გამართლებული იქნება ვაჩესგან ამგვარი ქცევა?

2. გიორგი და დათა ტყუპები არიან. გიორგიმ დაზოგილი ფულით სათამაშო კონსოლის (PlayStation) უახლესი მოდელი შეიძინა. ვინაიდან მშობლები მათ ბავშვობიდან ასწავლიდნენ, რომ ყველაფერი ერთმანეთისთვის უნდა გაეზიარებინათ, დათა ფიქრობს, რომ შეუძლია ისარგებლოს გიორგის სათამაშო კონსოლით, მისგან თანხმობის მიღების გარეშე. რამდენად მისაღებია დათას ქცევა? რა უნდა გააკეთოს დათამ, ვიდრე ძმის სათამაშო კონსოლით ისარგებლებს?

3. ნიამ გუჯას სთხოვა წვეულებაზე ერთად წასულიყვნენ, მაგრამ გუჯას არ სურს წვეულებაზე წასვლა, რადგან იგი ხმაურიან გარემოში და უცნობებთან შეხვედრისას თავს არაკომფორტულად გრძნობს. რა უნდა თქვას გუჯამ? როგორ უნდა გაიგოს ნიამ დანამდვილებით, რომ გუჯას არ სურს წვეულებაზე წასვლა?

Kahoot

ტესტი

ონლაინ თამაშზე დაფუძნებულ სასწავლო პლატფორმასთან „Kahoot“ პარტნიორობით, „AMAZE“-მა შეიმუშავა ტესტების სერია, რომელიც ემსახურება მნიშვნელოვან საკითხებზე საუბრების წახალისებას და საინტერესო სასწავლო გამოცდილების შექმნას. შეხვედრის დასასრულს, თანატოლგანმანათლებლებს შეუძლიათ შესთავაზონ მონაწილეებს „Kahoot“-ის პლატფორმაზე „AMAZE“-ის ტესტების შევსება (როგორც პირისპირ ასევე დისტანციურად გამართული შეხვედრის დროს); ამ აქტივობაში მონაწილეობის მისაღებად მოზარდებს შეუძლიათ ისარგებლონ საკუთარი სმარტფონებით, პლანშეტებითა ან კომპიუტერებით.

სასწავლო პლატფორმა „Kahoot“-ზე არსებულ ონლაინტესტზე წვდომის მოსაპოვებლად ისარგებლეთ შემდეგი ბმულით: https://create.kahoot.it/share/discussion-guide-asia-region-consent-explained-20230130/6581fcaf-9898-45d3-88a8-1eb4c05f0bfd

იხილეთ ონლაინტესტში შესული კითხვები - სწორი პასუხები აღნიშნულია **ნარინჯისფრად**.

1. [კითხვა] ჩამოთვლილთაგან რომელი აღწერს თანხმობას?
ა. ვარაუდი, რომ ვინმეს სურს ჩაერთოს კონკრეტულ საქმიანობაში, რადგან მას ეს ადრეც გაუკეთებია.
ბ. შეთანხმება ადამიანებს შორის, კონკრეტული ქცევის განხორციელების ან კონკრეტულ საქმიანობაში ჩართვის შესახებ.
გ. რაიმე აქტივობაში მონაწილეობაზე თანხმობის განცხადება, მაშინაც კი, თუ ამის სურვილი არ გაქვთ.
დ. ყველა პასუხი მცდარია.

2. [კითხვა] ქვემოთ მოცემული რომელი მაგალითი ასახავს თანხმობას?
ა. გუჯა უარს აცხადებს სესილის წვეულებაზე წასვლაზე.
ბ. ნუკრი ფიქრობს, რომ დოდოს სურს საშინელებათა ფილმის ყურება, რადგან მას ამაზე უარი არ უთქვამს.
გ. ვაჩეს სურს ნინამ მას თავისი უახლესი სათამაშო კონსოლი (PlayStation) ათხოვოს და ნინა მას თავს უქნევს.

3. [კითხვა] რისი გაკეთება შეუძლია ადამიანს, მისი თანხმობის დასადასტურებლად?
ა. თავის დაქნევა
ბ. თქმა: "დიახ, ეს ჩემთვის მისაღებია!"
გ. დაწერა, "დიახ, ეს ჩემთვის მისაღებია!"
დ. ყველა პასუხი სწორია და თქვენ მზად ხართ ჯანსაღი ურთიერთობის დასამყარებლად!

4. [მართალი თუ მცდარი] ადამიანს შეუძლია ნებისმიერ დროს შეცვალოს საკუთარი გადაწყვეტილება (თანხმობის გაუქმება) პარტნიორთან ინტიმური ურთიერთობისას. **მართალია, ადამიანს ნებისმიერ მომენტში შეუძლია შეცვალოს გადაწყვეტილება და საჭიროა ამ გადაწყვეტილების მიმართ პატივისცემის გამოხატვა.**

5. [კითხვა] რა ფაქტორებმა შეიძლება ზემოქმედება იქონიოს ადამიანის თანხმობის უნარზე?
ა. თუ ადამიანი არასრულწლოვანია
ბ. თუ იმყოფება ნარკოტიკებისა ან ალკოჰოლის ზემოქმედების ქვეშ
გ. თუ იმყოფება ძილის მდგომარეობაში
დ. ყველა პასუხი სწორია

დამატებითი მასალა

- ადამიანის უფლებები:ინფორმაციისა და განათლების მიღების უფლება-http://forparents.ge/informacia-temismixedvi/adamianis-uflebebi/

- ყველაფერი ერთ სასწავლო კურსში I ნაწილი-http://forteachers.ge/wp-content/uploads/2019/02/A4-New.pdf
- ჯანსაღი ურთიერთობები-http://forparents.ge/informacia-temis-mixedvi/urtiertobebi/jansari-urtiertobebi/
- არაჯანსაღი ურთიერთობები-http://forparents.ge/informacia-temis-mixedvi/urtiertobebi/arajansari-urtiertobebi/